ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 2 20 0000908891

29/09/2020

შპს სკოლა ახალი თაობის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ

დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მეშვიდე პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს სკოლა ახალ თაობას (ს/კ 406242123) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 425-ით.
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 29 სექტემბრის N907989 სხდომის ოქმის მეხუთე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით (შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით (შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

ზოგადი განათლების ავტორიზაციისა და
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

ზოგადი განათლების ავტორიზაციისა და
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
შანიძე ნატალია